



ხაზზე გავედით. ზედ ჭოროხის პირას თურქებს სკოლა აქვთ, სადაც ქართველი ყმაწვილებიც სწავლობენ. ნაპირს რომ მივაღვივებთ, შესვენება ჰქონდათ ბავშვებსა და დაგვინახეს თუ არა, თავის ნაპირს მოაწყდნენ, როგორც შავგვრემანი, ალბათ ქართველად შემიცნეს. მერე ბავშვებს ერთი თეთრსაყელიანი პატარა ბიჭი გამოეყო, მდინარეში ნავივით შემოცურებულ ვეებერთელა ლოდზე შედგა, ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო და ხმის კანკალით თავანკარა ქართულით დაიწყო:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო...

ასკერმა ლექსის თქმა ბოლომდე არ აცალა, გარეკა ბავშვები, იმ წუთში გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ვიდექი და უსირცხვილოდ ვტიროდი გაკვირვებული ჯარისკაცების წინაშე.

დიდი ილიას ნეშტს აკაკი ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა:

— თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარა ნახავ!

დღეს მე მინდა მისივე სიტყვები ასე დავუბრუნო აკაკი წერეთელს:

— შენ, ჩვენი ერის სინათლე და სიამაყე, საქართველოს სიკვდილი არ უწერია თუნდაც იმიტომ, რომ ერს შენისთანა კაცი გაუზარდა და დაუტოვა, როგორც სიმბოლო უკვდავებისა და მარადისობისა!



მცირერიცხოვან, ანუ, ეგრეთ წოდებულ, პატარა ერებს დიდი გული აქვთ. აქედან გამომდინარე, ტკივილებიც და სიხარულიც შესაბამისად დიდი გააჩნიათ, და ამიტომ ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა იციან.

როგორც ირკვევა, მცირერიცხოვანი ერების ადგილი და ფუნქცია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ადრევე განსაზღვრა ბუნებაში, რაკი არ აღჭურვა ისინი გლობალური, ზებუნებრივი ფიზიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებით. სამაგიეროდ, ზოგიერთი მათგანი, გაუგონარი თავდაცვის უნარით, სხვადასხვა ჭირთა და სენთა მიმართ მძლავრი იმუნიტეტით დააჯილდოვა — მისცა მათ ანბანი, ენა ხატოვანი, გონიერება და ძირითადად სულ სხვა მისია დააკისრა: კერძოდ ის, რომ სულიერი საზრდო მიეცათ ადამიანებისათვის.

ეფიქრობ, სწორედ ასეთი ერების რიგს მიეკუთვნება საქართველო.

სხვანაირად ვერც მე და ვერც თქვენ ვერ დავასაბუთებდით ამ ერთ მტკაველ მიწაზე ფარნავაზ განმანათლებლის, იაკობ ცურტაველის, დავით აღმაშენებლის, რუსთაველის, გურამიშვილის, საბა-სულხანის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვათა დაბადებას.

ძნელი დასაჯერებელი და დასასაბუთებელი შეიქნებოდა ჩვენი დღევანდელი იუბილარის ქებათა ქებაც.

ჩვენ ხშირად გვემინია სიტყვა გენიოსის ხმარებისა. საშიში არაფერია, იგი ასეა განმარტებული ლექსიკონში:

„უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მატარებელი ადამიანი“.

საშიში მხოლოდ ის არის, რომ ეს განმარტება ვინმე უღირს ადამიანს არ მივუსადაგოთ, თორემ ნიკო ლორთქიფანიძის მიმართ ეს განმარტება იმდენად ბუნებრივია და სისხლხორცეული, რომ ხანდახან გიკვირს კიდევაც, ნუთუ ეს არ იცოდნენ მისმა თანამედროვეებმა, ნუთუ თავიდანვე ვერ გრძნობდნენ ამას!

მართალია, ნიკო ლორთქიფანიძის ბევრ თანამედროვეს ვერ დაემდურები მისი ხალასი ნიჭის, ნოვატორობის, დახვეწილი სტილის და მაღალმხატვრული აზროვნების განსაცვიფრებელ ლაკონურ ფორმებში გამჟღავნების უნარის შეფასებასა და აღიარებაში... და მაინც გაუგებარი რჩება არა ის ზედმეტად მშვიდი, აუღელვებელი ატმოსფერო, რომელიც ბატონი ნიკოს გარშემო სუფევდა, არამედ



ის ადგილი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომელიც მიეკუთვნა მას მისსავე სიცოცხლეში და თუნდაც ის, რომ ეს განწყობილება იმავე ინერციით გადმოგვეცა ჩვენ.

ვიცი, დღეიდან ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება საკადრის ადგილს დაიჭერს ჩვენი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში, რადგან ძნელია მოიძებნოს ახალგაზრდობის გონების წვრთნის, მხატვრული აზროვნების და გემოვნების, სულიერი სიფაქიზის, ადამიანის პატრიოტული სულისკვეთებით, ჰუმანური იდეებით აღზრდის უკეთესი წყარო და საშუალება, ვიდრე ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაა.

დღეს თითქმის ყველა მკვლევარი ერთსულოვნად ლაპარაკობს იმპრესიონიზმზე ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში; ამიტომ ბუნებრივია და სამართლიანი, როდესაც პარალელს ავლებენ დავით კაკაბაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას შორის, მაგრამ აქ ერთი გარემოება მაინც უნდა აღინიშნოს: თუ დავით კაკაბაძე კლდის ქიმზე შემომდგარი, ფრთაგამლილი არწივივით გადმოსცქერის საქართველოს, ამ კავკასიონის კალთაზე გადმოფენილ ათასფეროვან მზეჩამდგარ ხალხს, ნიკო ლორთქიფანიძე პირჩაღმა წევს საქართველოს მიწაზე, სხეულით მის მრავალტანჯულ სხეულს ეკვრება, თავი საქართველოს მკერდზე აქვს მისვენებული, ყური კი მის ჯიუტად მბორგავ გულზე აქვს მიყურადებული. მისი მძიმე, ღრმა, მაგრამ ძლიერი სუნთქვა ესმის, და მისი პირით ლაპარაკობს.

ამიტომ არის იგი ნაწილი საქართველოს სხეულისა და ამიტომ არის იგი გენიოსი.

იქნებ სწორედ ამ გარემოების გამო შეძლო მან, ჩვენ შორის ყველაზე უკეთ დაეახლოვებინა საქართველოს წარსული დღევანდელობასთან.

მე არ შევუდგები აქ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების განხილვას, ამას ჩემზე უკეთ მომხსენებელი გააკეთებს და მის ყველა ღირსებას აღნიშნავს ალბათ, ერთი რამ მაინც მინდა ვთქვა:

შესაშური ბიოგრაფია აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს. გაიხსენეთ, რომელი მწერლის ბიოგრაფიას ამშვენებს საქართველოში, და თუნდაც მის გარეთ, ორი დუელი, არა პირადი ღირსების, არამედ სამშობლოს, ერის წმინდა სახელის და ღირსების დასაცავად.

ამ რამდენიმე დღის წინ მწერლები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე ვლაპარაკობდით. ახლა ზუსტად არ მახსოვს, რომელმა თქვა, მთავარია რომ ითქვა:

— ნიკო ლორთქიფანიძე გაჩნდა საქართველოში...



დაახ, ნიკო ლორთქიფანიძისნაირი მწერლები არ იბადებიან, არამედ ჩნდებიან და გამოეცხადებიან ხოლმე ხალხს. ასე გამოეცხადა იგი 1880 წელს საქართველოს; მერე სრულიად ჭაბუკმა მაცხოვრებით შეიხედა მამამისის ტაძარში და, რა იხილა იგი სავსე ჩარჩებითა და მოვაჭრეებით, ასე შეიცხადა იგი:

„... იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით... ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით, გონებამახვილი ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით... იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარით...“

მერე მან, თავის თანამოაზრეებთან ერთად, გამოიკვია ყველა ურჯულო, უმწეო და მოვაჭრე ამ ტაძრიდან, ჩაღვა მის კარში და დღემდე დგას, რათა მის კარიბჭეს მორწმუნის, გამრჯის, კეთილშობილის და სპეტაკი სულის გარდა, არავინ გადააბიჯოს და არ შევიდეს ამ სათნოების ტაძარში.

ეს იყო მისი უსასყიდლო და უანგარო სამსახური ერის წინაშე.

არასდროს არც ერთი სიტყვა არ დასცდენია ნიკო ლორთქიფანიძეს თავისი დამსახურების შესახებ საქართველოს წინაშე. მაშინ როდესაც ზოგიერთმა მისმა და ჩვენმა თანამედროვემაც პირდაპირ აიანცა ქვეყნიერება.

სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ წამოსცდა ნიკო ლორთქიფანიძეს, ისიც ძალიან ხმადაბლა, უფრო სწორად, იგი თავის თავს გამოუტყდა — მე ვიცი, რომ არც სასუფეველი მომელის „ცათა შინა“ და არც სახელი, დიდება და თავყვანისცემა ამქვეყნად, მაგრამ მე ძეგლი უნდა დამიდგან არა იმიტომ, რომ მწერლობაში ვმუშაობდი, პოლიტიკაშიც ოდნავ ვიღებდი მონაწილეობას, არამედ იმიტომ, რომ ტალახისა და ჭუჭყის ღელვაში ჩემი ტვირთი ისე გავატარე, რომ არც ფეხი და არც ხელი არ გამისვრია და ისე მოვიტანე რაც კი შემემლო სამშობლოს სამსხვერპლოზე.

— ვიცი, ბატონო ნიკო, ჩინებულად ვიცი, თქვენმა სალოცავმა საქართველომ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის, მაღლიერ ქართველ ხალხს არაფერი არ ავიწყდება.

იცოდეთ, ბატონო ნიკო, ვიდრე საქართველო რუკაზე არის საქართველო, რომელმაც თქვენი გული დაფერფლა, და ვიდრე ერთი ქართველი მაინც სუნთქავს ამ ქვეყანაზე, თქვენი ძეგლისაკენ მიმავალ, ქართველი ხალხის მიერ გაკვალულ ბილიკზე ბალახი არასოდეს არ ამოვა.